ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5101213

ნომერი: AR1769462

თარიღი : 31.08.2020

გაცემის თარიღი : 14.09.2020

გაცნობის თარიღი : 14.09.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი მურვანიძე პ/ნ 01017046211
- თბილისი ე.ტატიშვილის ქ. N 24

ორგანიზაცია:
- პროფ სისტემი კოდი: 404460837

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან სამსახურში პარალელურად ფიქსირდება განაცხადებები საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე, საჭიროა ერთი განაცხადით დააყენოთ მოთხოვნა ყველა საპროექტო ობიექტის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დადგენის კუთხით და დეტალურად განიმარტოს არსებული სარეკონსტრუქციო შენობების და საპროექტო ახალი მშენებლობების თაობაზე.
1.ვინაიდან მიწის ნაკვეთს კვეთს ხაზოვანი ნაგებობა N01.00.247, საჭიროა წარმოადგინოთ ხაზოვანის მესაკუთრის პოზიცია/ თანხმობა სამშენებლო სამუშაოების ჩატარების თაობაზე;
2....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : საჭიროა წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა;
3....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: თქვენ მიერ წარმოდგენილი ბანერი არ შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა აუცილებელ ინფორმაციას, კერძოდ ბანერზე დამატებით უნდა მიეთითოს ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაცია და განაცხადის განხილვის სტანდარტული ვადა;
4.საჭიროა წარმოადგინოთ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია (18-01202541341 თარიღი: 10/09/2020);

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.